№1810 2015 წლის 27 აგვისტო ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა - „საქპატენტმა“ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) გენერალურ ასამბლეაზე, შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში დაგეგმილი საქართველოსადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად გამართვისათვის, სახელმწიფო შესყიდვა 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ფარგლებში განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, საკუთარი შემოსავლებიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**